1884 წელს ს. ხიზაბერაში ვინეჟ მესხის მიერ ჩაწერილი ლექსი სუფრისადმი მიძღვნილი ხალხური ლირიკული საბოტო ნაწარმოებია, რომელიც სტუმარ-მასპინძლურ სუფრაზე სრულდებოდა. სუფრის პოეტრიკებისათვის ერთად აქ მოცემულია სიკვილი-სიციცხლის ფილოსოფიის თავისებური ინტერპრეტაცია:

სუფრა ვარდითა სავსე არს, ზედ მანა ჩარაგებულს,
მე ღვინო გზხოთი ღვინო მასდა კარგა და გარაგებულს,
თვითმ წყავთა სოფელს ასე არს დარაგებულს.¹²

ერთ-ერთი ლექსის მიხედვით სუფრა ხალხის თავშეყრის, მზიარებისა და თავშექცევის ერთ-ერთ მატერიალურ ბაზადა აღიარებულია. მას თავისი ვეტრად განსაზღვრული ეტიკეტი მოეპოვება და ამ თვალსაზრისით ყოველგვარი ექსცესი სასტიკადაა გაკაცებული. ლექსი მთავრდება როსტომის სახელთან დაკავშირებული ერთ-ერთი ხალხური აფორიზმის ტიპებით:

სუფრავ გამოლი ღვინო ხარ,
ქვეყნე, ჩვენდნი ვოგუნასა,
ხაშუნი ყელს სწობასა,
ასი თუშმისა ქონებასა,
ერთხელ სწობა სიკვილი
სულ ზედამ დღოვნებას!¹³

სუფრის სიმღერა ამშვენებს, უსმინერო წვეულება ხალხური ავტორის გაოცებას და საყვედურის საგანი გამხდარა:

პურსა სკამენ და ღვინოს სმენ,
სოდურს არ იბეჯობს,
არ ვიცე რასა გელოგობენ,
არ ვიცი არ იცემოს!¹⁴

ქართული სუფრის დამაშვენებელ სამკაულს სასმელებს შორის ოდითგანვე წარმოადგენს ღვინო, რომლის სმას ხალხური პოეზია ზომიერების ფარგლებში ქიდაგებს და ამის პარალელურად დაუნებლობად გზმბს ყოველგვარი ალკოჰოლური წრეგადასულობას. ხალხური სიმბრენ არასოდეს არ შიღის ღვინის ფეტიშოზმადმი, მაგრამ სასტუმრო სუფრა არაობად მიაჩნია თუ მას ღვინო არ ამკობს. ერთ-ერთი ხალხური ლექსის მიხედვით მასპინძლის მიერ სტუმრისადმი სასწაულგებრივი პატერისცეკაც კი უშედეგო ცდად, ამავად დაშრომად ითვლება, თუ იგი სტუმარს ღვინით არ გაუმასპინძლებდა:

კაცს სტუმარი ეწერის
სტუმარი არ ნახვლისა,
დაამოს ურმისა შოგრა,
ზაფხულისი შენახვლისა,

ღსწავს ფიწლა ორითი,
ციცხლა დაამოს გულსა,
ოთხფეხზე ბოლა ავიღეს,
ამას და ანაღლისა,

ატლსის კაზა ჩაავსეს
და ცხენსაც შევასაპილოსა,
კველა ტუფილად ჩაუღეს
თუ კი არ ამსვენ ღვინოსა!¹⁵

ამ ლექსის ვარიანტებს შორის სპეციფიკურობით გამოირჩევა თ. რაზიკაშვილის მიერ ქართულში¹⁵, ხოლო ჟ. სონდელა-

⁶ ძველი საქართველო, ტ. II, ტფილისი, 1913, გვ. V, გვ. 72.

⁷ იქვე.

⁸ ძველი საქართველო, ტ. III, ტფილისი, 1913-1914, გვ. II, გვ. 107.

⁹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931, გვ. 199.

¹⁰ ა. შანიძე, დასაქ. წიგნი, გვ. 200.

¹¹ იქვე, გვ. 198.

¹² ჟ. რაზიკაშვილი, ხალხური სიციციერება, II, 1964, გვ. 98.

¹³ ქ. კიტტიშვილი, ხალხური პოეზია, თბილისი, 1961, გვ. 199.

¹⁴ ხალხური სიციციერება, I, ქ. თაყაიშვილის რედ., გვ. 120.

¹⁵ ქ. კიტტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 172.

შვილის მიერ დილოში ჩაწერილი პარალელური ტექსტები¹⁷. ერთ-ერთ სუფრულ სიმღერაში გადმოცემულია მასპინძლისადმი სტუმრების მიმართვა — თხოვნა, რომლის თემაა მასპინძლის მიერ სტუმრების ღვინო გასასპინძლება. ლექსს თან ახლავს მსუბუქი, გამართობი ღვინო:

მასპინძლო, ჩვენი ღვინო, მარნის კარი გვირიალებს,
ვაგზაზე უხვად ქავერი, ყოლი ჩაგვიმოჭრიო¹⁸.

ანალოგიური აზრს შეიცავს ხალხური ორთავებელი:

ნუ მოუწვენთ მასპინძელსა,
ღვინო გასმეუთ ღვინო ფერსა¹⁹.

ამ ლექსის შინაარსზე დაღებიითი რეაგირება მასპინძლის პასუხია:

დავლევ და დავაუწინებ,
ფხვბასაც ავარეუნივებ²⁰.

სუფრაზე სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთობა ასახულია აგრეთვე გალექსილ საღვებრძოლველშიც, რომლებიც დეკლამატორი ფუნქციისა და ზოგჯერ ჩვეულებრივი საღვებრძოლის დამავიგვრებელი ნაწილს — მის პოეტურ-ემოციურ ფინალს წარმოადგენს. მისი მიზანი იყო საღვებრძოლისა და სუფრისათვის ამაღლებული საზიემო ტრენისი, ექსპრესიული ეფექტი, პათეტური განწყობილების მიცემა:

სანახავდ ღამაზა
მწიფოს ერთი მრგვალი ღვინო,
ზედ ასხა მარგალიტო,
სელ არ მოვა ერთი კოლი,
დალე და ნუ მოიწყენ,
ალაგებრი ჩემთან მდო²¹.

სხვა საღვებრძოლში მასპინძელი სტუმარს მიმართავს

დალე ჩემო ბატონო,
ჟერს ნუ შეტყვი ამაში,
ჩვენს სახლში, ჩვენსა მაწანში
ტულ ღვინო იყოს თამაში²².

მაგრამ სუფრას გაანაზი თავისი ეტაკები, ტაქტი, ზომიერების დარღვლა, ასევე თავისი საზღვარი აქვს სტუმრისსაც. ტივისცემასაც, რომელიც მავიგვრებულდაა გააჩნებული მასპინძლისადმი სტუმრის მიმართვის შემცველ მცირეფორმულ ან პოეტურ სხარტულში:

ბერი გვამე და წაუღი ვსი,
ასო მწევე ხალხსა²³.

ღვინის გადაჭარბებულობა შპ, ალკოჰოლიზმი, ოდითგანვე ხალხის მწვავე კრიტიკის საგანადა ქვეული. ალკოჰოლის უზომო ხმაურება ხშირად მხანგრ ფორმებში ვლინდება და არაიშვითად მას გამოუწერებელი, მძიმე ტრაგიკული შედეგებიც მოსდევს. ხალხური პოეზია დაუზოგავად კიხავს ღვინის მოგეტეულ სისას, რომელიც ადამიანს ყოველგვარი ზომიერების გრძობას აკარგვინებს და ტრაგიკული მდგომარეობაში აყენებს. კერძოდ, ასეთი აზრია გატარებული სტუმარ-მასპინძლის თემზემ ავებულ ლექსში:

კაცი კაცსაც დაპატებებს, წინ წარაიეთ სუფრას გაუშლის,
თუ წამებთ მთარა, თავშიც ვკუბმ შეშელს,
მოყვარის მტრად გადაიქცეს, დეიდაჩემს აფშოს²⁴.

საზიემო ფუნქციის ქართული გროველი სუფრა ჩვენი ხალხის მდიდარი და მრავალსუფრუანი სულიერი კულტურის, მის ჯანსაღ ტრადიციითა რეაგულ ნაწილს წარმოადგენს. იგი როგორც ყოველგვარებში ხელოვნების ერთ-ერთი სპეციფიკური ნიმუში, ავლენს ადამიანთა ჰუმანურ თვისებებს, კოლექტივიზმს, პოეტურ პოტენციას და ტემბილმეტყველებას, გონებაშეხილობას. სასტუმრო სუფრა არის ქართული გროველი სუფრის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთდატვივისციემის კოლორიტული გამოხატულებაა. იგი სხვადასხვა ნიუანსის თავისებური „იმპროვიზებული ხალხური დრამაა“, რომელსაც ზირად სინთეზური ხასიათი აქვს, რადგანაც მასში არაიშვითად ერთდროულადაა გაერთიანებული ხელოვნების რამდენიმე დარგი: სიმღერა, ცეკვა, დელკამალი და სხვ. სუფრის ამ ფორმას შესაბამისი მხატვრული რეზონანსი უბოვია ხალხური პოეზიის სტიქიაშიც.

²² საუნჯე 1, თბილისი, 1935, გვ. 310.

²³ ხალხური სიტყვიერება, 1, გვ. 283.

²⁴ ა. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 11, გვ. 201.

¹⁶ ხალხური სიტყვიერება, 1, გვ. 282.
¹⁷ ა. სოლომონაძე, ხალხური სიტყვიერების მასალები, 1, თბილისი, 1955, გვ. 152.
¹⁸ ა. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 11, 1964, გვ. 100.
¹⁹ ხალხური სიტყვიერება, 1, გვ. 283.
²⁰ იქვე.
²¹ იქვე, გვ. 282.

რედაქციამ ქალაქ გროზნოთან მიიღო თბილისის სახელმწიფო ცირკის ყოფილი ინსპექტორის პავლე რიახანსის წერილი საცირკო ხელოვნების ქართული მოღვაწის რომან გამახბურდის შესახებ. ვებედათ ამ წერილს.

ღ რ მ ლ ა ე ლ ი ა ნ ი

პავლე რიახანსკი

სი

ომან სერგოს ძე გამახბურდის სახელი სამუდამოდ შევიდა საბჭოთა საცირკო ხელოვნების ისტორიაში. იგი დაიბადა 1860 წელს, საქართველოში, ზუგდიდის ოლქის სოფელ დარჩელში, გლეხის ოჯახში.

საცირკო მოღვაწეობა მან 1882 წელს დაიწყო ქალაქ ბაკოში, სადაც იმ დროს ბუზანოს ცირკი იმყოფებოდა. იყო უბრალო მოსამსახურე, შემდეგ ვახლადმიწინსტრატორი და ამ ცირკთან ერთად გაემგზავრა რუსეთში.

1883—1890 წლებში მან ბუზანოსთან სამსახურს თავი დაანება და მუშაობდა ფურერის, კაპაიჩის, მაიმონა და ნალის, ფედოსეევსკის და ბედლის ამხანაგობაში, დობრუდინის ცირკში, დ. დ. შ. ტრუტევის ცირკებში. შემდეგ გადავიდა ძმები

ნიკიტინების ცირკში, რომლებთანაც 26 წელი მსახურობდა. 1914 წელს ჩამოყალიბდა ვარიეტეს და ცირკის არტისტთა საზოგადოება. მისი შემქმნის ერთ-ერთი ინიციატორი გამახბურდისაა. იგი ამ სამართევლოს წევრი და ხაზი-



რომან გამსახურდია (პირველ რიგში მარჯვნიდან მეორე) მისი 50 წლისთავის საიუბილეო კომისიის წევრებ შორის

ნადარი იყო 1919 წლამდე. 1912 წლიდან 1920 წლამდე გამსახურდია მუშაობდა ოდესის ცირკში, რომელიც ოდესის სამხედრო კომისარიატის პოლიტგანათლების გამგებლობაში შედიოდა, შემდეგ მას ხეხდავით უკრაინაში, მშენებელი ენთუზიასტების კერაში ცირკში. 1926 წელს მიიწვიეს სახელმწიფო ცირკების სამმართველოში და ითვლებოდა ტულის, ყაზანის, სვერდლოვსკის ცირკების დირექტორად. ეს ცირკები მისი ხელმძღვანელობით აშენდა.

1930 წელს საქართველოში სახელმწიფო ცირკის დაარსებისთანავე რომან გამსახურდია მის დირექტორად დანიშნა. აქ შეხვდა იგი თავისი მოღვაწეობის 50 წლისთავს. გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ წერდა:

„...თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორი, რომან სერგოს ძე გამსახურდია, საბჭოთა კავშირში ცირკის ერთ-ერთ უხუცეს მოღვაწედ ითვლება. ის მოწმე და მონაწილე აკადემიკოს საქმის ევოლუციისა ნახევარი საუკუნის მანძილზე. მან ამხნის განმავლობაში ასზე მეტი ცირკი ააშენა რუსეთში, უკრაინაში, კავკასიაში, შუა აზიაში. რევოლუციამდე ცირკის ანტიკონსერვატივობის სამსახურის დროს გამსახურდიამ ბევრი რამ გააკე-

თა ცირკის არტიტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მათი კულტურული ღონის ამღობისათვის.

იგი იყო ცირკის პროფესიონალ მსახიობთა პროფკავშირის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი. ამხ. გამსახურდიამ მთელი თავისი გამოცდილება მოახმარა საბჭოთა ცირკს, იყო მისი დაუღალავი რეკონსტრუქტორი. თავის მუშაობაში იგი გამოიმდინარებოდა იმ დებულებიდან, რომ საბჭოთა ცირკს არენაზე უნდა ეჩვენებინა არა მარტო ძალა და მოხერხებულობა, არამედ, პირველ ყოვლისა, უნდა შეექმნა ორგანიზებული სანახაობა, შედეგით ფიკულტეტურისა და სპორტის ელემენტებისაგან, წყრთნის სახეობათაგან, მხატვრული ვაფორმების საქმეში მოპოვებული მიღწევების დემონსტრაციისაგან, თანამედროვეობის ამსახველი სტარისა და კლოუნაისაგან“.

1933 წლის 25 მარტს თბილისის ცირკში საბჭოთა ცირკის ერთ-ერთი უხუცესი დირექტორის 50 წლისთავი იზეიმეს. იუბილეზე ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლები. საიუბილეო პროგრამის პირველი ნაწილი მრავალფეროვან საცირ-

კო სანახაობას დაეთმო. მეორე განყოფილებაში თბილისის, მოსკოვისა და სხვა ქალაქთა ცირკების, აგრეთვე წითელარმიელთა წარმომადგენლები. ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ რომან გამსახურდია გერმანულ მომთინიერებელ იოსებ შაუერთან ერთად უნდა შესულიყო ლომების გალიაში.

ღარაბზში სიჩუმე ჩამოვარდა. გალიასთან იდგნენ მებანძრეები თავიანთი საქურტელთი. გამოჩნდა ფრანგი გამოწყობალი, რომან სერგის ძე. მაყურებელთა ღარაბზის გავლით იგი მტაცებელთა გალიისაკენ გაე-

პარტა. იქვე იყო იოსებ შაუერთი. იუბილარმა კარგადააღიქვა და გალიაში შევიდა.

გალიის შუაგულში პატარა მაგიდაზე იდგა შამანურის ბოთლი და ორი ჭიქა. შაუერთმა ჭიქები ვააკსო და რომან გამსახურდიას ჭიქის მიუტახუნა. ორივემ დალია. მაყურებელნი სუნთქვაშეკრული ადვენებდნენ თვალს და როდესაც რომანი გალიიდან გამოვიდა, გაისმა ოვაკიები. მაყურებელთა ტამბის გრიალში საქართველოს ფილარმონიის დირექტორმა ტიგრან ტარუმოვმა და ცნობილმა რეჟისორმა კონსტანტინე მაქარინაშვილმა უბოლორი კულისებისაკენ გააკვილეს.

ბეჩიძე

შენათი

ქონთაძე

უქანსკელ ხანებში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში განსაკუთრებით გახშირდა ვასტროლორითა სტუმრობა.

საოპერო ხელოვნების მოყვარულთ შესაძლებლობა ეძლევათ გეცნონ როგორც მომძე რესპუბლიკების საშემსრულებლო ძალებს, ისე უცხოეთის საოპერო და საბალეტო ხელოვნების წარმომადგენლებს.



დირიჟორი ვაღიმ შუბლაძე

მიმდინარე სეზონში ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ერევნის ა. სენდაროვის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრის სოლისტის ელვირა უზუნიანისა და ერევნის რადიოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორის ვაღიმ შუბლაძის მონაწილეობით წარმოდგენილმა სპექტაკლმა — დონიკეტის ოპერამ „ლუჩია დი ლამერმურმა“.

სპექტაკლმა განსაკუთრებული ინტერესი აღძრა, რადგან ახალგაზრდა გასტიოლოორები თბილისის ვ. სარაჯივილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აღზრდილები არიან. აქ, ჩვენი კონსერვატორიის კედლებში ვუბარენენ პროფესიულ ჩვევებს, დაუფლუნენ მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, მიიღეს საგზური ხელოვნების დიდ

გზაზე და შემოქმედებითი მოღვაწეობა მოძმე სომხეთის მუსიკალურ სამყაროში განაგრძეს. სასიხარულოა, რომ ვ. შუბლაძემ და ე. უზუნიაშმა ღირსეულად დაიცვეს თბილისის კონსერვატორიის ავტორიტეტი. დღეს ისინი სომხეთის მუსიკალური კულტურის ნიჭიერ, მოწინავე ძალებს წარმოადგენენ.

ვაღიმ შუბლაძემ ორჯერ დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. პირველად, როგორც მუსიკისმცოდნე. ამ დარგში მას უკვე სტუდენტობის წლებშივე პერსპექტიული სპეციალისტის რეპუტაცია ჰქონდა, მაგრამ შემოქმედებითმა მოწოდებამ სძლია და 1953 წელს კიევის კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ასე შეუდგა ახალი სპეციალობის შესწავლას, სადირიჟორო ხელოვნების სირთულეებში

წვდომას. ერთი წლის შემდეგ კვლავ მშობლიურ თბილისის კონსერვატორიაში გადმოვიდა და გამოჩენილი დირიჟორის ოდისეი დმიტრიადის ხელმძღვანელობით წარმატებით დაამთავრა სადირიჟორო ფაკულტეტი.

ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტი იყო, როდესაც საკონცერტო პროგრამით წაასრულა ერევნის მუსიკალური აუდიტორიის წინაშე. აქ მოხდა მისი შემოქმედებითი ნათლობა.

1963 წელს კი კვლავ ერევნის საოპერო თეატრში ვაღიმ შუბლაძე გატაცებით დირიჟორობდა ვერდის „ტრაივოტას“. ეს იყო ახალგაზრდა დირიჟორის სადიპლომო დაცვა. მსმენელმა და პრესამ მაღალი შეფასება მისცა ვ. შუბლაძის შემოქმედებას. მანინვე შედგა მისი შეხვედრა ერევნის სიმფონიურ

ორკესტრთან. კონცერტის პროგრამაში იყო მოცარტის სიმფონია სოლ მინორი, ნაწყვეტები ე. ჰოვანესიანის ბალეტიდან „ვახაშხალია“. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამვე სილამის ვ. შუბლახის ღირსიერობით ადღერდა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები — ზ. ფალაშვილის ოპერის „დაისის“ უკერტებრა, რ. ლლიძის „საქადიო“ და „სიმღერა სამშობლოზე“. საპასუხოდ მგებლო გამოცდა წარმატებით იქნა ჩაბარებული. ახალგაზრდა ღირსიერმა სერბოლუ შემოქმედებით განაცხადი გააკეთა.

დებიუტის წარმატებამ, ერევნის მუსიკალური აუდიტორიის გულშემატკმე შეხვედრამ განაპირობა ის, რომ ვ. შუბლახემ შემოქმედებითი ბიოგრაფია სომხეთის მუსიკალურ კულტურის დაუჯავშირა.

ახალგაზრდა ღირსიერის შემდგომი მოღვაწეობაც ორი გზით წარიმართა. იგი თვალსაჩინოდ ათავსებს სიმფონიური და საოპერო მუსიკის ინტერპრეტატორის რთულ მისიას.

სამ წელწადადღე მტია, რაც ვ. შუბლახე ერევნის რადიოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი ღირსიერის თანამშემუეა. აქ იგი ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. მისი ღირსიერობით ადღერდა ჰაიდნის, ბეთოვენის, ჩაიკოვსკის, შუბერტის, მედელუნის, ვერდის, ვებერის და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები. ახალგაზრდა მუსიკოსმა გულწრფელად შეიყვარა სომხეთის ეროვნული მუსიკალური კულტურა. განსაკუთრებული გატაცებით ღირსიერობს იგი სომხური მუსიკის თვალსაჩინო ქმნილებას — ტიგრანის ცნობილ ოპერა „ანუშ“.

ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მუშაობა ერევნის რადიოს სიმფონიურ ორკესტრთან. აქ ხდება მისი საღირსიერო ტექნიკის სრულყოფა, პროფესიული ჩვევების გაღრმავება. მას მიეცა დამოუკიდებელი მხატვრული ინტერპრეტაციის გამოვლენის საშუალება.

ფართოა ახალგაზრდა ღირსიერის მხატვრული ინტერესების სფერო — კლასიკოსთა მუსიკალურ მემკვიდრეობასა და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებს ტოლფასოვანი ადგილი ეთმობა მის რეპერტუარში. არსებითად ამ გზით ეუფლება იგი სხვადასხვა მუსიკალურ მიმდინარეობათა და კომპოზიტორთა სტილის ინდივიდუალური თავისებურებების შემეცნებას. გარდა ამისა სისტემატურად ადევნებს თვალყურს თანამედროვე სომხური მუსიკის განვითარებას. ტრადიციად იქცა — ერევნის ტელევიზია თავში ორჯერ

ცისფერი ეკრანით გადასცემს ხოლმე კონცერტებს ციკლიდან „თანამედროვე სომხები კომპოზიტორები“. ვ. შუბლახე ამ კონცერტების აქტიური მონაწილე. თანამედროვე სომხური მუსიკის პროპაგანდა ვ. შუბლახის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. მის რეპერტუარშია კაზარისანის, ტერგევიანის, ახალგაზრდა კომპოზიტორის არაზოისა და სხვათა ნაწარმოებები.

ვ. შუბლახე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებშიც მართავს კონცერტებს. მისი შემოქმედება მცისკის პროგრადის, ვორონეჟის, თბილისის აუდიტორიამ.

ამჟამად იგი მუშაობს გლეიერის, მადლიერის, ბრუნენის პარტიტურებზე, რომელნიც მომავალი კონცერტის პროგრამაში აქვს შეტანილი.

შსგავსია ერევნის სვენდიაროვის სკოლაში პერო თეატრის სოლისტის ელვირა უზუნინის შემოქმედებითი ბიოგრაფიე. მასაც ორჯერ მოუწია უმაღლესი სასწავლებლის კარების შეღება. პირველად — პედაგოგიური ინსტიტუტი და შემთავრებით, მუშაობდა კიდეც ისტორიის პედაგოგად, მაგრამ ე. უზუნინიც მუსიკის სიყვარულმა და თვალსაჩინო კოკალურმა მონაცემებმა მიიყვანა თბილისის ვ. სარაჯიევილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. დოქტორი ნინო ბახტუაშვილის ხელმძღვანელობით დაეუფლა იგი ვოკალურ ტექნიკის სირთულეებს.

ე. უზუნინიც კონსერვატორიის სტუდენტი იყო, როდესაც ერევნის საოპერო თეატრის სცენაზე ვიოლტას პარ-

ელვირა უზუნინა—„ლუჩია დი ლამბრუზო“



ფოტოგრაფია
პ. შვიპინსკისი



ელვირა უზუნია და ბაჟუ კრავიშვილი
„ბერა „ლუჩია“ დი ლამერტურში“

ტია შეასრულა ვერდის „ტრაგედიამი“. დებიუტმა წარმატება მოუტანა, მაშინვე იჩინა თავი მომღერლის მუსიკალობამ, მომხიზველმა გარეგნობამ, თვალსაჩინო ვოკალურმა მონაცემებმა.

დღეს ელვირა უზუნია ირევენის საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტია. შემოქმედებითა დაუცხოობლობამ და სრულყოფისაკენ ღრულვამ ვოკალურ-აქტიორული მონაცემების ზრდა და პროფესიული დაოსტატება განაპირობებს. მომღერალი უკვე რთულსა და მდიდარ საოპერო რეპერტუარს ფლობს. განსაკუთრებით ახლობელია მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის ვიოლეტას („ტრაგედიამი“), ჟილანს („არიოვოლტო“), როზინას („სევილიელი დალაქი“), მარჩას („მეფის საცოლ“), ლუჩიას („ლუჩია დი ლამერტურა“), ანუშის („ანუშ“) პარტიები.

ელ. უზუნიაწის მიღწევაობაც ორი

გზით წარიმართა: საოპერო გვირგვინი განსახიერებდასთან ერთად იგი მართავს სოლო კონცერტებსაც. განსაკუთრებით იტაცებს მას ვოკალურ ცეკვებზე მეუზაობა. წარმატება ხედავს უზუნიაწის კონცერტს სახელწოდებით „თანამედროვე ამერიკელი კომპოზიტორების მუსიკა“. მის საკონცერტო რეპერტუარში ტოლფასიანი ყურადღება ეთმობა კლასიკოსთა და თანამედროვე კომპოზიტორების ქმნილებებს. გატაცებით მღერის იგი XVII და XVIII საუკუნის კომპოზიტორთა ვოკალურ ლირიკას. ამჟამად ამზადებს ახალ საკონცერტო პროგრამას, რომელიც ფრანგულ მუსიკის ნაწარმოებებიდან შედგება — ლილუსისა და რამოდან ონეგერსა და პულენკამდე.

ელ. უზუნიაწი ხშირად მონაწილეობს ირევენის რადიო და ტელეგადამცემში. მღერის საფუნდო კავალსთან თუ სიმ-

ფონიურ ორკესტრთან ერთად. მისი გამოსვლები — წერს ელენა ჯორჯიანი — გამოირჩევა კარგი გემოვნებით, ვოკალური და სცენური უშუალოებით, ქვეყნიერების არტიტიზმით. მომღერალი ხშირად მართავს საგანგებო კონცერტებს მოსკოვსა და ლენინგრადში, ბალტიისპირეთის, შუა აზიისა თუ კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში.

ახალგაზრდა მუსიკოსებს წარმატება მოუტანთ გამოსვლა მშობლიურ თბილისში... დონიკეტის „ლუჩია დი ლამერტურაში“ თვალსაჩინოდ გამოვიწინა ვ. შუბლახისა და ე. უზუნიაწის ნიჭის ინდივიდუალური თავისებურებანი.

ღრმა ლირიკული განცდით, სინაზით, ქალური ცემამოსილებით იყო აღსავსე უზუნიაწის ლუჩია. მომღერალმა მიაგნო თავისი გვირგვინის გრძნობათა სამყაროს განსახიერებისათვის შესაბამის ვოკალურ გამომსახველობას, ტემპარული პალიტრის მრავალფეროვნებას. უზუნიაწმა თვალსაჩინო ვოკალური ტექნიკაც გამოავლინა. ლუჩიას რთული, ვირტუოზული ვოკალური პარტია თავისუფლად ეძღვნა, განსაკუთრებით შთაბეჭქვადი იყო გონება-არეული ლუჩიას სცენა. მსახიობმა ცხადპყ აქტიორული გარდასახვის უნარი.

გატაცებით მიჰყავდა სპექტაკლი დორიოტი ვ. შუბლახის. მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის დამახასიათებელი ლირიკული სიფაქიზე და მდელარული დრამატიზმიც, დირიჯორმა მამიკორა შემოქმედებითი კონტაქტი დაამყარა სპექტაკლის მონაწილეებთან — ორკესტრთან, გუნდთან, სოლისტებთან, აუდიტორიასთან.

მსმენელმა დააფასა ვ. შუბლახის შემოქმედების ინდივიდუალური მხარეები ფაქიზი ინტერპრეტაციისა და სერიოზული მუსიკოსის ღირსებები. დორიოტის ღრმად ჰქონდა გაზრებული დონიკეტის პარტიების სტრატეგიული თავისებურებანი, ამყარა იყო ნიჭის სიმდიდრე და დინამიკური საშუალებების სიმდიდრე, მუსიკალობა, არტიტიზმი.

გამომსახველად ეძღვნა სპექტაკლის საოპერეტო, საფუნდო თუ სოლო ვოკალური პარტიები, ურთოდესი ანსამბლები. ყოველივე ამის ორგანულ მოტიანობაში მოქცევა სპექტაკლის თვალსაჩინო ღირსება გახლდათ.

თბილისელებმა მაღალი შეფასება მისცეს მომხმე სომხეთის მუსიკალური კულტურის წარმომადგენლებს. სასიხარულო იყო მათი წარმატება, მისთვის ნიადაგი ხომ ჩვენთან შემზალდა.



ქართული მინერალები ნიუ-იორკის

«მეტროპოლიტან მუზეუმში»

ჯიბო ლომაშვილი

1966 წლის მაის-ივნისში საბჭოთა ტურისტების ჯგუფთან ერთად ვიზიტუალურ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნიუ-იორკის ლათვალეიერების დროს მოუთმენლად ველოდი «მეტროპოლიტან მუზეუმის» გამოფენის ნახვას, რადგან თბილისში, კარგა სწიით ადრე, ყურმოკრული მქონდა — ქართული მინინქარის და ხატების მედალიონები ამ მუზეუმში არისო გამოფენილი.

მართლაც, თითქმის ორი საათის ძებნის შემდეგ მივაგენი სტენდს, რომელიც მოთავსებულია პირველ სართულზე, ერთ პატარა და ბნელ ოთახში, უფრო სწორად, გასასვლელში, ვერც ამ სტენდს «აღმოვაჩინდით», მუზეუმის ერთ დარბაზში მხოლოდ ქართული ხანჯალი ვნახეთ, მე-17 საუკუნის ნივთი (ანეთი იყო წარწერა). კოტე ჩაჩავა, ზურაბ ჭილაძე, ვიფი ვარლესანძე, ანგელინა ფერაძე, ვარლამ ჩაჩავიანი და კახა ჭანუყვაძე




ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმში“ დაცული ქართული მინანქრები

ჩემი თხოვნით გულმოდგინედ დაეძებდნენ სტენდს, სადაც გამოფენილი უნდა ყოფილიყო ქართული ხელოვნების უნიკალური ძეგლები. სწორედ იმ დროს, როდესაც თავდებოდა მოცემული დრო და მუზეუმის დაკეტვაც მოახლოვდა, ა. ფერაპემ მიაკვლია სტენდს.

ასე „აღმოვაჩინეთ“ ქართული მინანქრების კოლექცია ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმში“. მაგრამ, ჩვენი სიხარული გაოცებამ შეცვალა: სტენდის თავზე ინგლისურად ეწერა «ბერძნული მინანქრები». დაეაკვირდი გამოფენილ ნივთებს და

მაშინვე ვიცანი ჩვენთან, ქართული ხელოვნების მუზეუმში დაცული ნივთების «ცალგები», ზუსტად ისეთივე ქართული ტიხრული მინანქარი, რაც ასევე და ათასჯერ მინახავს თბილისში. წავიკითხე სტენდზე მოთავსებული ტექსტი, სადაც მითითებულია, რომ ეს ნივთები რუსეთიდან არის, მაგრამ სტენდის საერთო სათაური კი, როგორც უკვე აღვნიშნე, სხვას მეტყველებს. დრო აღარ დარჩა. მუზეუმში დავეტეს. გამოსასვლელში მოვსწავარი მხოლოდ ალბომის შეშვამი. მასში მოთავსებულია ქართული მინანქრების ნიმუშები, მედალიონები და სათანადო ტექსტი.

სტენდი ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმში“, რომელზეც გამოფენილია ქართული მინაწერები



ფინიდან პირველ დღეს ვერ მოვასწარიტ სტენდის ფოტოგრაფირება, გადაწყვეტიტ მერე დღეს გადაამელო მთელი სტენდი.

აპარატმა და, რაც მთავარია, ცუდმა განათებამ სელი არ შევიწყო მიზნის განმორკვეულებაში. ფოტოსურათები არ გადავიდა კარგი, მკაფიო, ერთი ტექსტი სტენდიდან გადავიწერე სწრაფად, მაგრამ, მგონია, უშეცდომოდ. მუზეუმის თანამშრომელი, რომელიც გვაჩერებდა და ვგამცნობდა მუზეუმის დამატებას, გაკვირვებულ მკითხველად — რატომ იწერთ ასეთი გულადღებით ამ ტექსტსო. მე მოვასხენე, რომ ამ ბუკლეტში სიმართლიანად წერია, რომ ეს ნივთები საქართველოდან არის, მაგრამ ვერ გამიგია სტენდის სათაურში რატომდა აღნიშნული. რომ ბიზანტიური მინაწერებია-მეთუ. ჩვენ ქართველები ვასლავართ და თბილისში ასეთი ნივთები საქაზად ბევრი გვაქვს, მაგრამ მაინც უფრო სწორი იქნებოდა სტენდის სათაურშიც იქნეო, რომ ეს ქართული მინაწერებია-მეთუ.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ფოტოსურათები ჩამოტანულ ალბომთან ერთად გადავიტ ავად. შ. ამირანაშვილს და ფხოველ სათანადო კომენტარებით გამოსულიყო პრესაში, მით უმეტეს, რომ ამ დროს შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეები ტარდებოდა.

1967 წლის 2 მარტს ვაჯთმა „ვეფერნი თბილისმა“ მოათავსა პროფ. ვახტანგ ბერიძის კომენტარები ამ საკითხზე. ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1968 წლის № 1-ში დაბეჭდილია ავად. შ. ამირანაშვილის წერილი „საქართველოდან გატაცებულ განმეულობათა დაბრუნება“, სადაც ავტორი არც კი ასენებს იმას, რომ ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმში“ გამოფენილია ქართული მინაწერები. აი რას წერს ავად. შ. ამირანაშვილი თავის წერილში: „საქართველოს განმეულობის გატაცების და მითვისების საქმეში დიდი „ლუწაწი“ მიუძღვის ქუთაისის გუბერნატორ ლევაშოვის. 1856 წ. მან დიდი ზონი მიაციენა ველათის მონასტრის საგანძურს: წყლიო და მიიიოების ლეონტიშობლის მინაწერის ხატი ვედრებისა X ს. (ხახუწლის ხატის ძირითადი ნაწილი), მინაწერებით შემკული სასარების მოჭედილობა (XI-XII ს. ს.), რომელიც ამჟამად ორ ნაწილდაა გაყოფილი. ერთი ნაწილი დაცულია ბერლინის სასახლის

მუზეუმში, მერე კი შეადგენს ბელგიელი კოლექციონერის საკუთრებას.

პეტერბურგელმა ფოტოგრაფმა საბინ გუსმა ეგზარსოსის დახმარებით «ხატების განასტრების მიზნით», ვაიტაცა ფუშით-დან და შემოქმედის მონასტრიდან ქართული ხელოვნების მინაწერები. ვერცხლით ნაჭველ ხატები და სხვა (დაწერილებით ყველა ცნობა მოყვანილია ჩემს მონოგრაფიაში მინაწერების შესახებ).

პატივმეული მცენიერის ამ წერილიდან მკითხველი ვერ გაიგებს, არის თუ არა ნიუ-იორკის მუზეუმში ქართული მინაწერების კოლექცია და როგორ მოხვდა ეს ნივთები იქ?

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ ამჟამად გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილის „რჩეული ნაშრომების“ I ტომი, სადაც დაბეჭდილია მისი წერილი: „ვანამულის ვატანის, საფრანგეთში შენახვისა და დაბრუნების ისტორია“. ექვთიმე თაყაიშვილი ეხება რა ჩვენი ქვეყნიდან ვატანულ განმეულობის „მეტრო-მოყვარეს“, წერს: «პირველ ყოვლისა მოვიდა ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი და დაუწყო მოლაპარაკება მენშევიტებს, რომ მიეყიდით მათთვის მინაწერიანი ხატები და მედალიონები.

ჩვენებურ მინაწერთა ერთი დიდი კოლექცია იმ მუზეუმს ადრე უქონდა შექმნილი ზენი-გოროდსკისაგან, რომელიც ალექსანდრე მესამის დიდი მოხელე იყო. ერთ დროს იმნე საბინ-გუსმა ეგზარსოსის ნებართვით მოიპოვა უფლება განეხლებინა ძველი შემკულობა საქართველოს ეკლესიათა ხატებზე. მან პირობა გამოიყენა ეს უფლება, მოსო ბევრი ძველი ხატი და მათი მინაწერიანი მედალიონები კი მიჰყიდა კოლექციონერ ზენი-გოროდსკის. როგორც ცნობილია, მინაწერის ხელოვნება დიდად იყო საქართველოში გავრცელებული და ჩვენებურ ხატებზე სწორად ეკრა მედალიონები — ბიზანტიურიც და ქართულიც. თუმცა იციან მინაწერიანი ხატებისა და სხვა საეკლესიო ნივთების დამზადების რეცეპტი, მაინც ვერაინი ახერხებს ამ ხელობის აღდგენას. ზენი-გოროდსკიმ ჩველ მინაწერებს ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმისაგან“ მიიღო 200.000 მანეთი, რაც იმ დროისათვის ერთობ დიდი ფული იყო. ახლა კი მუზეუმმა და მისმა დირექტორმა

მიონდომეს ქართული მინანქრების კოლექციონს უფრო მეტად შევსება» (ხაზგასმული ყველაზე ჩველი — ჯ. ლ.).

ჩვენი სასიყვედულო მეცნიერის ამ სიტყვიდან ბევრი რამა საინტერესო. ჯერ ერთი ნიუ-იორკის მუზეუმის დირექტორისათვის საიდან გახდა ცნობილი, რომ შენევიკებმა თან წაიღეს ხატები და ტიხრები მინანქრები? ეს კითხვა პასუხაუკველია რჩება. მეორე, ის, რომ ამ მუზეუმს ადრე ჰქონია შეძენილი ქართული მინანქრის ხატები და მედალიონები დიდი რუსი მოხელისა — ზვენიგორდსისაგან. მესამე, რომ ამ კოლექციამ ზვენიგორდსის მუზეუმისაგან მთლიან 200.000 მანეთი, აქართველს ის, რომ ვინმე სამინ-გუსის მიერ გაპარული იქნა საქართველოს ხატები, და მისი ამბებულობის, ნაწილი ამ ნიუ-იორკისა მან მყიდა ზვენიგორდსის.

რაც ჩვენი ნიუ-იორკის მუზეუმში ენახეთ, არ ითანხმება ავად, რ. თყანაშვილის და ავად. შ. ამირანაშვილის ცნობებს ქართული მინანქრის ამ კოლექციის შესახებ, რომელიც ზვენიგორდსის მთავრისა ნიუ-იორკის მუზეუმისათვის. ამიტომ ისჯობოდ მივიჩნეთ მოვიტანოთ ყველა ეს ცნობა, რათა დავსვათ კითხვა — რომელია ნამდვილი? ამიტომ, მოგიხსნება ამ ცნობების ციტირება.

1963 წელს, ავად. შ. ამირანაშვილი თავის მოწოდებაში: «История грузинского искусства» წერს: «Петербургский фотограф Сабин-Гус, пользуясь покровительством духовных властей, под предлогом обновления древних икон обокрал много древних монастырей Западной Грузии, в первую очередь Джуматский и Шемокведский. Он вывез из Джуматы два образа — архангелов Михаила и Гавриила; первый был украшен эмальевыми медальонами грузинской работы; эмальевые медальоны второго были византийской работы. Эмали второго образа попали в коллекцию А. В. Звенигородского и составили основной фонд его собрания. Они были изданы отдельно с цветными таблицами и исследованием Н. Кондакова в монографии, которая цитирована и повторена Шульцем (Schulz, Der Byzantinische Zellen-schmelz, fr. M., 1890). Эмали образа архангела Михаила попали к разным коллекционерам (А. А. Бобринскому, М. П. Боткину и др.). Оклад этой иконы после Октябрьской революции попал в Государственный Эрмитаж. Джуматские памятники были изданы Л. Мацулевичем (Maculevič, Monuments disparus de Djumati, Byzantion t. II, Paris, p. 1925, 77—108)».

როგორც დავინახეთ, პეტერბურგელ ფოტოგრაფს — სამინ-გუსს ჯუმათიდან მოუპარავს ორი ხატი — ერთი, ან პირველი ქართული მინანქრებით მოჭდილი, ხოლო მეორე — ბიზანტიური მინანქრები, და ეს მეორე ხატის მინანქრებიან მედალიონები «მოხვედრდა» ა. ვ. ზვენიგორდსის კოლექციამ, მაშასადამე, ბიზანტიური მინანქრა შეუსკადია კოლექციონერ ზვენიგორდსის. კი მაგრამ, მაშინ, გამოდის, რომ ამტერბოლიტენ მუზეუმს კოლექციამო ქართული მინანქრა არ ყოფილა, რადგან მათ, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერს, ზვენიგორდსისაგან 200.000 მანეთად შეისყიდეს ეს კოლექცია და ჩვენს მიერ «ამოიჩინა» სტენდზეც ასე უწერია, რომ ეს კოლექცია შექმნილია 3. მორგანის მიერ რუსი მედიანის მოხელის — ზვენიგორდსისაგან. მუზეუმის აღბრუნებაც ასე უწერია, რომ ეს ნიუ-იორკი, საქართველოდან, კერძოდ კი, ჯუმათიდან არის.

«მეტროპოლიტენ მუზეუმის» სტენდზე ასეთი წარწერაა: «ბიზანტიური მინანქრები».

Ryzantine Enamels

«This collection of Ryzantine enamels, dating from the VIII to the XII century, is one of the largest and most comprehensive in existence. Many of the pieces were ac-

quired in Russia during the nineteenth century by Alexander Zvenigorodskoi, a wealthy Russian. They were later bought by J Pierpont Morgan, who gave them to this museum that rough his son J. P. Morgan. 1917».

ვინც სტენდს, ან ამ სტენდის ჩვენს მიერ გადაღებულ სურათს შეხედავს, მაშინვე იცნობს ქართული ტიხრული მინანქრის ნიშნებს. ცხადია, ეს ჩვენი საშობლოდ წაღებული ხატების მედალიონებია, მათი შექმნისა, რასაც თვით ამერიკელებიც ამბობენ. ამიტომ ვერ გამოვიდა, რატომ უნდა გვერიგდოდეს აღის აღნიშნა? ეს ხომ ისტორიული ფაქტია და, ცხადია, ისტორიაში უნდა დარჩეს ისე, როგორც იყო. ჩვენს სპარტენზიო მსოფლიოს გვეყვას, რომ «ბიზანტიურის» ნაცვლად სამართ-ლიანობა მოითხოვს ეწეროს «ქართული».

თუ წარწერას დაუყურებთ, გამოდის, რომ «მეტროპოლიტენ მუზეუმს» ზვენიგორდსისაგან კი არ უყიდა ეს კოლექცია, არამედ ჯ. პ. მორგანს — მსხველ კაპიტლისტს — შეუწირავს ამ მუზეუმისათვის. ე. ი. ზვენიგორდსის მორგანისათვის მიუყიდა და არა მუზეუმისთვის, როგორც ეს უწერია ექვთიმე თაყაიშვილს.

შესაძლებელია ე. თაყაიშვილს ეს ინფორმაცია ნიუ-იორკის მუზეუმის დირექტორმა მიაწოდო. მაშვე მოვიპოვებ, ალბათ, 200.000 მანეთის შესახებაც, რადგან ეს ხომ თვითონ აწარმოებდა მო-ლაპარაკების სცენა ნიუ-იორკის შეძენაზე და «ქართული მინანქრების კოლექციის უფრო მეტად შევსებაზე».

2 Ш. Амيرانашвили. История грузинского искусства, Москва, 1963 г., стр. 257.

3 «ბიზანტიური მინანქრების ეს კოლექცია, რომელიც თარიღდება VIII-XII საუკუნეებში, ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და უფროათვისა არა მხოლოდ, უძველესია, არამედ ერთ-ერთი უფროაღიანი. რუსული XIX საუკუნეში, დიდი რუსი მოხელის ალექსანდრე ზვენიგორდსის მიერ, ეს ნიუ-იორკის მუზეუმში (მოდის) ა. პიერპონტ მორგანს შეიძინა და თავის შვილის ხელთ შესწრა და მუზეუმს 1917 წელს».

ამტროის თანახმად, რედაქციამ ჯიშორ ლოვაშვილის ცხადია «ქართული მინანქრები ნიუ-იორკის «მეტროპოლიტენ მუზეუმში» ბავშვი უზარმაზარად მოეპოვებოთ იმდროინდელი სურათები რუსულ სამინანქროს, რომელიც ბავშვიმ დაიხრახიქა და თავის შვილის ხელთ შესწრა და მუზეუმს 1917 წელს».

1966 წელს წერილი ავტორმა გ. ლომიშვილმა ტურისტული მოგზაურობის შედეგად შეტანა, საცალიდან ნიუ-იორკის «მეტროპოლიტენ მუზეუმის» დირექტორის დროს განსაზღვრული ყურადღება მიქცია 9 მინანქრის მედალიონს კუბისის ტიპის საყვანებლად, რომლებიც ერთ დროს ამწვენებდნენ ახალ ტიპის მოგზაურებლს მიქცის ხატის მოქმედობას.

როგორც ცნობილია, პეტერბურგელმა ფოტოგრაფმა სამინ გუსმა საქართველოს დასახლებით და ნიუ-იორკში «ხატების განსვლ-ვის მანიშა», როგორც აღნიშნულია ჩვენს შრომაში «ქართული სილუ-ეტების ისტორია» (გვ. 325, თბილისი 1961 წ.) ჭეშმარიტად გიჟივდა ორი ხატი, სასიყვედულოდ მოგაზრებდა მექცის და განბოლს, რომელია მიქცეულია მექცეული ფოტოგრაფი მინანქრებისათვის ამოწვნილი (მთავარ ანგლი მიქცის ხატი) შექმნილი იყო ქართული მინანქრები, რომელიც ქართული წარწერები ჰქონდა. მეორე ხატის მედალიონები ქართული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენენ, თუმცა მათ ბერძენული წარწერები აქვთ» (გვ. 325).

მოგზაურებლს განბოლს ხატის ცხრა მინანქრა (მს. ცხოვრვის, ლექსიწმინდის, პეტრეს, პავლეს, შაველს, ლუკას, იოანეს და შ. პეტრეს) აღნიშნულია მინანქრის გეგმა. მექცია ა. ვ. ზვენიგორდსის აღ-ნიშნული მინანქრები გამოაქვეყნებულია ა. ვ. კონდაკოვის მიერ (Н. П. Кондаков, история и памятники византийской эмали. Византизм и эмали. Собрание А. В. Звенигородского, СПб., 1889—1892. ცნობილია აგრეთვე, რომ ეს მინანქრები ა. ვ. ზვენიგორდსის მიჰყიდა გ. პიერპონტ მორგანს, რომელიც თავის სტენდში შექმნილი სურათი «მეტროპოლიტენ მუზეუმს».

ქართული მინანქრები ყველა ნიმუშის ბედი, სადაარბოა დაწვარიობით განხილულია ჩვენს შრომაში ქართული მინანქრის შესახებ, რომელიც ამოქვეყნებულია ფრანგულ ეტიკეტად და ინგლისურ ენაზე:

- 1) Ch. Amiranachvili, Les émaux de georgie, Milano, 1962, p. 20.
- 2) Ch. Amiranachvili, Smalti della georgia, Milano, 1963.
- 3) Sh. Amiranachvili, Medieval georgian enamels of Russia, New York, 1965, p. 23).

ჩემი შრომის ქართული გამოცემაში «ქართული ხელოვნების ისტორია» მხოლოდ ვინაიდან 1961 წელს და ავტორი ზოგად შრომაში მინანქრის შესახებ კონსოლი მოგაზრებულს «ქართული მინანქრები მეტყველად ბერძენული წარწერების, განხილულია როგორც ქართული ხელოვნების ნაწარმი».



ბრინჯაოს ქართული ბალთა ლებიდან

ბრინჯაოს ქართული ბალთაები

მანანა ხიდაშელი

შობერ
უომბია
86

წილენი

ბრინჯაოს ქართული ბალთები ერთ მტკიცედ ჩამოყალიბებულ ტიპს ქვნიან. ამ ბალთებს ძირითადად სწოკუთხედის მოყვანილობა აქვთ, მაგრამ, გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომელთა ფორმა კვადრატულია. გარეშე ბალთებს მოყვება საკმაოდ გაიზირი რელიეფური ორნამენტით შესრულებული ჩაოჩი, რომელსაც კუთხეებში გაკეთებული აქვს სხვადასხვა სიმაღლის კოხები.

ჩაოჩის შიგნით მოთავსებული არე დაკავებული აქვს წითელ კომპოზიციას, რომელიც რელიეფურ ფორმებშია მოცემული. ამ კომპოზიციას ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ერთი ცხოველის გამოსახულება, შესრულებული მძალი რელიეფით. ამ ცხოველს ჩაოჩის შიგნით მოთავსებული სივრცის ძირითადი ნაწილი უჭირავს. დარჩენილ არეს ავსებს აერული ორნამენტი, რომელიც შედგება, ძირითადად, ცხოველთა ფიგურებისაგან, ან მათი ცალკეული ელემენტებისაგან. გეომეტრიული მოტივები ბალთების ორნამენტში ნაკლებ იჩენს თავს.


დღეისათვის, აღნიშნული ბალთები საკმაო რაოდენობით არის მოპოვებული. ისინი მრავალფეროვანია. თითოეული ბალთა ერთმანეთისაგან განსხვავებულ მხატვრულ და ზოგჯერ სიუჟეტურ დეტალს შეიცავს. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ ბალთები ძირითადად ერთი სიუჟეტის მატარებელი არიან.

იკონოგრაფიულად ბალთები ერთმანეთისაგან ცენტრალური ცხოველის გამოსახულებით განსხვავდებიან. ყველაზე ხშირად, ცენტრალურ ცხოველს წარმოადგენს ირემი, ჯიხვი, ან ფანტასტიკური არსება, რომელშიც ირმისა და ცხენის ატრიბუტებია გაერთიანებული. ხშირია ისეთი ნიმუშებიც, რომლებზეც ცხენის სასებით რეალისტური გამოსახულება მიღებული. ბალთების დეკორში მოცემული დამატებითი ცხოველები ვი, ძირითადად, უცვლილია. აქ სხვადასხვა კომინიციით, მაგრამ ყოველთვის ვხვდებით ძაღლის, გველის, თევზის ან ფრინველის გამოსახულებებს.

როგორც ვხედავთ, ბრინჯაოს ქართული ბალთების მხატვრული დეკორი საკმაოდ მდიდარია ცხოველთა სახეებით. ამიტომ ისინი თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ ხელოვნების იმ წარსულ რიგს, რომელიც ვ. წ. კხოველური სტილით: შესრულებულ ნაწარმოებსა სახელთაა ცნობილი. ასეთი სტილი, როგორც ჩანს, კაცობრიობის კულტურული განვითარების გარკვეულ სტადიას ახასიათებდა. ამ სტადიაზე ცხოველური სტილი ადამიანის იდეოლოგიურ შეხედულებ-

ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლთა შორის ბრინჯაოს ქართული ბალთებს, შესანიშნავი მხატვრული ფორმითა და მეტად საინტერესო შინაარსით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ: მათი გაგრძელების არე საქართველოს ტერიტორიას არ სცილდება. დღეისათვის დადგენილად შეიძლება ჩათვალოს, რომ ბრინჯაოს აერული ბალთები წარმოადგენს ქართული უძველესი ხელოვნების ნიმუშებს.

1 გ. ბ. ბ. ჯ. ი. შ. ე. ი. — ბრინჯაოს ქართული ბალთები სად. ნაშრომი, 1943. გვ. 237.



ტენის აკაზებლობის ნაწილი. ლურისტანი

ბებთან იყო დაკავშირებული და მისი სახეები შვირად რელიგიურ-სიმბოლურ შინაარსს მოიცავდა.² ამ სტილის მოტივებს ვხვდებით ძველ ხალხთა ხელოვნების ძეგლებზე (ასურეთი, ეგვიპტე და სხვ. აგრეთვე კავკასიის არქაულ ხელოვნებაში). საინტერესოა გაირკვეს, თუ რა რელიგიური შეხედულებები უდებს საფუძვლად კავკასიურ ცხოველურ სტილს და რაგვარად აქოვა

სკითორი ქამრის ბალთა



ასახე ამ შეხედულებებმა ბრინჯაოს ქართული ბალთების დეკორირებაში, ბალთების სიმბოლიკის გასარკვევად, გასაღები იძლევა; ჩვენი აზრით, ბალთის ეს ერთადერთი ეგზემპლარი, რომელზეც გამოსახტულია ორთავიანი ცხოველი ანტროპომორფული არსებითი. ვფიქრობთ, რომ რელიგიური სიუჟეტი ამ ბალთაზე ყველაზე სრულად არის გადმოცემული. ამიტომ მის დეტალურ განხილვას დიდი მნიშვნელობა ექნება.

ბალთა ფორმით კვადრატს უახლოვდება. კომპოზიციის ირგვლივ მოუყვება განივი და რელიეფურად შესრულებული ჩარჩო, რომელიც სპირალური ორნამენტის ორი რიგისაგან შედგება. ჩარჩოში მოქცეულია საკმაოდ რთული კომპოზიცია, რომლის ცენტრალურ ნაწილს ორმაგი ჰერალდიკური კიბის ფანტასტიკური ირმის გამოსახულება წარმოადგენს. ორგვ ცხოველზე ამართებულია ქალღვთაების ფორმალური ფიგურა. ცენტრალური ცხოველის ორივე მხარეს გვევლინება გამოსახული, ხოლო მის ფეხებს შორის — ძაღლი.

ბრინჯაოს ქართულ ბალთას შეიძლება დავუკავშიროთ არა ერთი ძველი ლურისტიანი, მცირე აწიდან, სკითორი ხელოვნებიდან, სადაც ეს ღვთაება აგრეთვე ორმაგ ცხოველზეა ამხედრებული. განსაკუთრებულ სიახლოვეს ქართულ ბალთასთან იჩენს შესანიშნავი ქანდაკება ორთავიანი ცხენისა, რომლის ცენტრში აღმართულია ქალღვთაების ფორმალური ფიგურა (დღეს ეს ქანდაკება ინახება ბრეტანის მუზეუმში). მის წარმოშობას ამირკავკასიში ვაჯობებთ.³ ამ ძველ უკავშირებს აკად. შ. ამირანაშვილი ჩრ. კავკასიის ამბოჩენელ ჰერალდიკურ ორმაგ ცხენთა გამოსახულებებს. ავტორი ამ ქანდაკებაზე გამოსახულ ნიშანს ნაყოფიერების ქალღმერთის სიმბოლურ ნიშნად მიიჩნევს და ამდენად, ქანდაკებას ნაყოფიერების ქალღმერთთან აკავშირებს.⁴

უკმით განხილულ ძეგლებს დიდი მსგავსება აქვთ კომპოზიციის აგების საერთო სტრუქტურით. ეს სტრუქტურა შედგენიარად წარმოადგინოთ: ცენტრში მოთავსებულია ადამიანის ფიგურა, რომელიც ვერტიკალურად არის მოცემული, ხოლო ამ ვერტიკალის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებულია ორი ცხოველი.

სამეტწიერი ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად, გემოტრიული ფიგურის ორივე მხარეს განლაგებული ცხოველების სიმეტრიული, ჰერალდიკური კომპოზიცია, როგორც თავის ფორმით, ისე შინაარსით, შეიძლება დავუკავშიროთ კომპოზიციასთან იმ ვართო წრეს, რომელიც კარგადაა სიმბოლიტო მცირე და წინა აზის ხელოვნებაში და წარმოგვიდგენს „სიყოფისის სის“ ამ ქალღმერთ „ნადირი ბატონის“ ორივე მხარეს განლაგებულ ცხოველებს.⁵

ამგვარად, ფორმალურ-სტილისტური ანალიზის შედეგად, ჩვენს მიერ განხილული ძეგლები, მათ შორის ბრინჯაოს ქართული ბალთა, შეიძლება შევიყვანოთ იმ ძველთა რიცხვში, რომელნიც ცხოველთა მფარველ ღვთაებს და მასთან დაკავშირებულ ცხოველებს ასახავენ. მაგრამ იმისათვის, რომ ეს დასკვნა დამაჯერებელი იყოს, უნდა შევეხოთ საკითხის მეორე, არანაკლებ მნიშვნელობის მქონე მხარეს, — ამ სიუჟეტის სემანტიკას, და ვნახოთ, რამდენად არის შესაძლებელი ამ დეკორის სიმბოლიკის დაკავშირება ცხოველთა მფარველი ღვთაების სამყაროსთან.

ცნობილია, რომ ადრეული ეპოქის მხატვრული შემოქმედების ყველა დარგი დიდ რელიგიურ-მითოლოგიურ გავლენას განიცდიდა. სასულალობრივი ცნობიერების ფორმათა შორის, რელიგია — უძველეს ხანებზე ყველაზე უფრო გავრცელებულ იდეოლოგიას წარმოადგენდა. სოცეფიკარ რელიგიებში ცხოველთა კულტებმა სრულიად განსაკუთრებული როლი შესრულეს. როგორც ჩანს, ეს კულტი უნივერსალურად შეიძლება ჩაითვალოს.⁶

აკომორიბის განვითარების ადრეულ საფეხებზე, ცხოველთა თვითი კლასის, ადამიანთა წარმოდგენით, თავისი უფროსი, „მფარველი“ გაანია, რომელიც თავდაპირველად ზოომორფული არსებაა. შედეგად, მთელი სამყაროს ანტროპომორფიზაცია მუდგავდა, ადამიანი თავის მფარველ ზოომორფულ არსებებს ანტროპომორფულად აქცევს. ცხოველთა მთელი კლასი თავის ადრინდელ სახეს ინარჩუნებს, ხოლო ამ ცხოველების მფარველი და მტრძანებელი ღვთაება ადამიანის მსგავს არსებად იქცევა. ეს ზოომორფული არსებანი ცხოველთა მფარველი ღვთაების აუცილებლად ატრბუტებია.

² D. Carter — The symbol of the beast, New—York. 1957, გვ. 10.
³ Minns — Small bronzes from Northern Asia Antiquaries Journal, № 10, 1930, p. 20.
Rostovtsev—Dieux et Chevaux., Syria, 1931, XII, p. 78-79.
⁴ ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 1-9.
⁵ Артамонов — Полтавцев, — Культура северо восточного Кавказа, С. А., XIV, 1950, ст. 78.
⁶ Штейнберг — Первобытное общество.

ბაღ იქვეყიან და მისი ძირითადი თვისებისა და არის გამოშატველი სფეროებიან¹.

ქართველ ტომთა უძველეს რელიგიურ შეხედულებებში დიდი ადგილი უჭირავს ცხოველთა მფარველ ღვთაებას და ისეთი დაკავშირებული ცხოველებს, რელიგიურ შეხედულებათა ეს კომპლექსი მასალაზე ორგანულად სამოადირო წყარო-ჩვეულებებს დაკავშირდა.

ქართველი ტომების წარმოდგენით, ცხოველთა მფარველი ღვთაება ცალღვთაება იყო. ეს ღვთაება მონადირეობის ქალღმერთის პირველსავე შეიძლება ჩაითვალოს. ქართულ სინამდვილეში ცხოველთა მფარველი ღვთაების ზომორღვლას და უძველეს სახეს წაითმადგებს ზიხვი, იოგმი ან არჩვი². ამ ცხოველთა კულტის უძველესი კავშირები მონადირეობასთან და ცხოველთა მფარველ ღვთაებათა, ეტიკვლეებს საქართველოს მიზან რაიობებში დასოყიებული ერთი საისტეკოსო რიტუალი: მონადირის მიყო დახიცილი იძისა და ხაზვის ოქებზე, რომლებიც სახლის თვალსაწიხი ადგითას იყო გასოფნილი და მონადირის გამარჯვებას აღნიშნავდა, ხადრობია სინ, ან ხადრობის შემდეგ, სახელს დაანთებდნენ; აირველ შემთხვევაში კარგ ნაწილიყვას და მონადირის ბინ მჭიდროდით დაბრუნებას სთხოვდნენ ხადრობ პატრონს, მეორე შემთხვევაში მალღობას სთხოვდნენ მას ბარაქიანი ხადრობისათვის³.

ქართული ფოლკლორული მასალების მიხედვით, ცხოველთა მფარველი ქალღვთაება სურვილისამებრ თავისი ქვეყნობით ცხოვრებს — ირისი ან ზიხვის სახეს ღვებს და ასე გათოვებდაც მონადირეს. ხშირად ღვთაება მასთან იტვირთუ ურთიერთობის ამყარებს. ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული მონადირის კულტურის აღმართა, ხადრობ ყოველ კვირთ შემთხვევაში — მაყარი ეტოვ; თუ კი მონადირე ამ საიდუმლოებას გასცემს, ის აუცილებლად იღუპება⁴.

ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები კავასიის ყველა ხალხს ღვდავს. ეს რწმენა-წარმოდგენები გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ქართველი ხალხის რელიგიურ-მითოლოგიურ შეხედულებებთან.

ქართულ ცხოველთა მფარველ ღვთაებასთან განსაკუთრებულ სიახლოვეს ბერძნული არტიკვდი იჩენს.


არტიკვდი საკმაოდ რთული ღვთაებაა, რომელმაც განვითარების გრძელ და რთული გზა გახვლი. ამ ღვთაების წინადასწარმობით წარმოშობა მეცნიერებაში დღეს უდრად არის აღიარებული. არტიკვდი თავის სახელქვეშე პერიტონში მყოფად ასახლავრდა ქალღმერთის, რომელმაც თავისი წარმოშობით წინადასწარმობით ხაზის ცალკეული მოვლენათა პატრონების, მფარველთა და დღეების სახელი არსებობდა⁵. იგი მფარველობდა ადამიანთა და ცხოველთა მიყო მოღვაწეს.

არტიკვდისთან მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს ირები, რომელიც, როგორც ამას ქვეყთი დაიხასიახ, მის უძველეს ზომორღვლას წარმოადგენს. ამ ტრადიციის გამომავალი უნდა იყოს ალბანია, ის, რომელიც არტიკვდი ირებთან ერთად გამოხატავდა.

არტიკვდის ბუნებისა და ფუნქციების გამოსაყვანად საინტერესო მასალას იძლევა ის ლეგენდები, რომლებიც მონადირე არტიკვდის სახელთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, აქტიკვდა დაინახა მონადირე მომავალ მშვენიერი არტიკვდი. ამ გახდინებით განრისხებულმა არტიკვდმა აქტიკვი ირმად აქცია და მისავე ძაღვებს დააკვლინა. მითოლოგის ცნობით მკვლეარის ს. სინჯიას აზრით, ზეშით აღნიშნული ლეგენდის ეს ცნობილი ვარიანტი უფრო გვიანდელი რედაქცია უნდა იყოს და არტიკვდის აქტიკვი განრისხების მიზეზი სანადირეობის ტაპის დაღვევა-თან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ თქმულების ყველაზე არაკლები ვარიანტი, მკვლეარის აზრით, ასახულია ნუპოლის სახატავლოს მუხუტულ დაკვლილ ძველი ბერძნული ვაზის მხატვრობაზე. მასზე გამოსახულია აქტიკვი, რომელიც მუშით კლავს ირებს. იგი აგიოთი-დაც ხანგრძლივ ირმად არის ქვეყლი; მათგან მარცხედ დაეს არტიკვიდ და ისარ უბიზნებს მას⁶.

საინტერესოა თავისი შინაარსით კრეტაზე აღმოჩენილი ფირფიტები, რომელიც არტიკვდისაზე იყო მიძღვნილი. ფირფიტაზე მოცემულია გამოსახულებათა მიყო წყება. პირველ მჭირებში გამოსახულია სამი ჩიტი, მეორე მჭირებში — ორი გრიფონი, მესამე

ქალღვთაების გამოსახულება ამიერიკავასიში



კრეტაზე აღმოჩენილი ფირფიტა

¹ A. Lang, Mythes, Cultes et Religion, გვ. 254.

² კავასიური და ქართველი ტომების ეს შეხედულებანი დაწერილებით არის გახსოვებული ელ. ვირსალაძის ნაშრომში „ქართველი სამონადირეობისა“, 1964.

³ ელ. ვირსალაძე. შრომის ორგანიზაციის ფორმები, 1941 წ., გვ. 175-176.

⁴ ელ. ვირსალაძე. ცტ. ნაშრომი, გვ. 55.

⁵ Roscher — Ausführliches Lexicon der griechischen und Römischen Mythologie. Leipzig, 1884 — 1890, გვ. 564.

⁶ S. Reinach, Cultes, Mythes et Religion, ტ. III, 1908 წ., გვ. 24.

მჭირები — ნუნომოდრეცილი მამაკაცი, რომლის ფეხებიც დგას საყვავად ზიხვი — ხავევად ქალი. ყვეთ ურთიერთი ყოფითაბი ორტიკვდი ორი გრიფონი უჭირავს თვით⁷.

აღიშნული ღვთაების გათავისუფლებას ხშირად ვხვდებით აგრეთვე სკვირთა ობიექტიალურ მოვლეთის ძველესაც. აკითხეთი ცხოველთა მფარველი ღვთაება მიუხედავად წიხა ათის „დღედი დე-ნი“ ერთ-ერთი გათოვებდა. მატკვიალიური კულტურის ძველესაც იგი გათავისუფლა, როგორც ფრითაბი ღვთაება იყითაბს ყოფად. უმთოვლიანი გათავისუფლებას მესადველთობას გვამცხვად ბალთაზე გამოსახული ირები და ზიხვი გათავის მფარველ ღვთაებათა დაკავშირებული რელიგიური კომპლექსის თიკავითობა და გამოვითქათი მოსახლთა, რომ მოითავსის კითხუთი ბალთაზე გათავისუფლითაბი ირებზე ამხედრებული ღვთაება — ეს ათი ღვთაება დიდი დღდა, ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ქალღმერთი. ბალთაზე გამოსახული უნდა იყოს ამ ღვთაების ორგანიზაცია — ანტიროპორფული და ზომორღვული.


მუხუტულად იძისა, რომ კომპოზიციის ცენტრში ორთავიანი ირისი გათავისუფლებას ბალთების მხოლოდ ერთი თიქმუზე ვხვდებით, ეს მოტივი ამ თვლებისათვის არ უნდა იყოს უცხო. ცხოველთა ბალთების კიდევ ერთი გეგმპლარი, სადაც ირისი ორთავიანი კომპოზიციის ერთ-ერთი მხედრებულ ელემენტს წარმოადგენს და ცენტრალური ცხოველის ზევით არის გამოსახული. ერთ ორთავსავე, ამ ცხოველის ზევით მოთავსებულ ირის პროტომზე ზიხვის თავია გათავისუფლი, იფორზე ორთავიანი ირებზე ზიხვის თიქული ფიგურა მოცეხული.

თუ ორთავიან ცხოველებს, ცხოველთა მფარველ ნაყოფიერების ღვთაებას დაკავშირებთ, მაშინ უნდა ვფიქრობო, რომ ზევით გახედრულ ბალთებზე გამოსახულ ორთავიანი ირებზე ერთ შეთანხვევაში ძალღვთაებაა წარმოდგენილი. ხოლო დასარჩევ შემთხვევაში სანი ზომორღვული დასე — ზიხვი.

ქართულ ბალთებზე წარმოდგენილ გამოსახულებათა სიმბოლიკის დასადგენად არ არის საკმარისი მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ცხოველის მნიშვნელობის გარკვევა. საჭიროა მჭვევით დაზამტებით ვხვდებით (ირებთა და ზიხვისთან ერთად ბალთების დეკორში ჩვენ ვხვდებით ძაღლის, ფრინველის, გველისა და თევზის გამოსახულებებს); გაგარკვიოთ მათი მნიშვნელობა და სიუჟეტურად დაკავშირებოთ ცენტრალურ ცხოველს.

ამისათვის საჭიროა განვიხილოთ წინა აზრით დიდი დღეის შეხედრბინილი ირისი იმტარის წინა ამ ღვთაების მუხუტული სწორედ მასთან ყველაზე სრულად თაბმირული. ქალღმერთი იმტარის საკმაოდ რთული ბუნება განიხი. იგი ნაყოფიერების ქალღმერთია და გველენება როგორც დიდი დღდა ადამიანთა, ღვთაებათა და ცხოველთა მიყო მოღვაწეს. ამვე დროს იგი სიყვარულის მფარველიცა და ომის ქალღმერთიც, მშვენიერებისა და კანაპრების მონადირე ღვთაებაა, მფარველი მშვილდისრისა და კანაპრების. ამირი-დაც, იმტარი საკმაოდ რთული ღვთაებაა წარმოდგენილი, რომელმაც


⁷ Roscher, op. cit., გვ. 564.



ბრინჯის ბალთა სოფელ არგვეთიდან

სხვადასხვ ღვთაების ფუნქციები გაერთიანებული; და ალბათ სწორედ მა რ ბუნების სიზოულვა მიუხეზი იმისა, რომ ნივთიერი კულტურის აუღლებუ კალდმერთ იმტარის საკამად მრავალრიცხოვანი სიმბოლოები და ემმულემები გამოსატული. თითოეული სიმბოლო და ნიშანი, იმტარის ამა თუ იმ განხორციელების გამოსატვას წარმოადგენს.

საკიდი. ლურისტანა



კალდმერთ იმტარის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა ვარსკვლავი. იგი იმტარს უნდა გამოხატავდეს, როგორც ცის ღვთაებას. ამგვარ ფუნქციასთან უნდა იყოს დაკავშირებული მისი სმირი გამოსახულებაში სხვადასხვა ფორმების სახით.

იმტარს, როგორც ცხოველთა მფარველსა და შემდგომრიდელ მესაქონლეობის ღვთაებას, მრავალრიცხოვანი ცხოველები ემორილებოდნენ; ახალ ბაბილონურ წარწერებში შემოხსენებულია ცნობა, რომლის თანახმად იმტარის მორჩილი ცხოველები ვარსკვლავით იყვნენ აღნიშნული (მისი საკუთრების ნიშანი) მატერიალურ-კულტურულ ძეგლებზე. იმტარის ეს ნიშანი განსაკუთრებით ხშირად არის წარმოდგენილი.

იმტარის რთული ბუნება, მისი მრავალსახეობა იმის მაჩვენებელია, რომ ამ ღვთაებამ განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა განვლო. მისი პირველი სახის წარმოშობა ძალიან ადრე საფეხურზეა საფიქრებელი. ღვთაების თვითეული ზომიერიფული გამოსახულება, ებოღმა თუ ატრიბუტი უნდა გამოხატავდეს გარკვეულ საფეხურს მისი არსებობის და განვითარების ხანგრძლივ გასაზე.

იმტარის სახე და მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი მითები გაცლებით უფრო ადრე წარმოიშვნენ, ვიდრე მათი წერილობითი ფიქსაცია მოხდებოდა. წერილობითად გაფორმებულმა მითებმა შემოვიყვანა ამ კალდმერთის სინერგული და რთული სახე, რომელშიაც მისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე შექმნილი თვისებები შერწყმული და გაერთიანებული სახითაა მოქცეული. იმტარის სახე ჩამოყალიბდა უფრო ადრე, ვიდრე მოხდა მისი ასახვა ხელოვნების ძეგლებზე და მითუმეტეს, გაცლებით უფრო ადრე, ვიდრე იმის ასახვა მატერიალური კულტურის ძეგლებზე მიიღო გარკვეული განხილვეური ფორმები.

როგორც აღვნიშნეთ, ცხოველთა მფარველი ღვთაება, თავდაპირველად, ზომიერიფული არსებაა, ხოლო განვითარების უფრო გვიან საფეხურზე იგი ადამიანის მსგავს არსებად იქცევა. ეს ზომიერიფული ღვთაებები მის აუცილებელ ატრიბუტებად იქცევიან და მისი ძირითადი არისა და თვისების გამომხატველი არიან. სწორედ ამ მომენტთან უნდა იყოს დაკავშირებული, ჩვენის აზრით, სამი საწყისის გაერთიანება ბუნების დიდი დღის სახეში. წყლის ცხოველები გაერთიანდნენ და ერთ-ერთი მათგანი რომეტივი (ფეხუ, მავაყი, გველი) დიდი დღის აუცილებელი ატრიბუტი გახდა. განსაზიერებდა რა მის მატერიალურ წყლის სამყაროზე, მიტე აღნიშნავდა იმტარის ბატონობას ზუგაზე (ცნობილია, რომ იმტარი გვეთვინდა ატრიალურ ღვთაებათა რიგებს), ხოლო რიგებს, რომლებს და სხვა ცხოველები მიეყრდნენ სამყაროს ბატონად განსაზიანდნენ მას. მაგონა, როგორც მისი, კალდმერთის უგლოა ეს ატრიბუტი ოდესღაც დამოუკიდებელ როლს თამაშობდა. ეს ატრიბუტები, ზომიერიფული არსებანი ადრე თვითონაც ღვთაებებს წარმოადგენდნენ, შემდეგ კი დიდი დღის ზომიერიფული გამოსატულების ფუნქცია დაეკისრათ. ხოლო ამ ზომიერიფული ღვთაებების წარმოშობა რელიგიური აზროვნების ტოტემისტურ საფეხურთან უნდა იყოს დაკავშირებული.

სამი სამყაროს განმასახიერებელი ცხოველების ამ კავშირს გულისხმობდა ალბათ აკად. ნიკო მარი, როდესაც წერდა: «Иштарь в образе птицы обязательно столкнется с бычьим и на образ Иштары-Девера, — но раз возникает здесь речь о такой полноте всего ряда, конкретной рыбе, конкретной птице и конкретном дереве, то это уже история Боши Иштары, еще не антропоморфированной»¹⁴

როგორც ვხედავთ, იმტარის ღვთაებაში გაერთიანებულია რელიგიურ მხედლეობათა საკამად რთული კომპლექსი, რომელშიაც ეს ღვთაება საკამოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. ყველაზე მაკვირი კი ჩანს ამ ღვთაების კავშირი სამ სამყაროსთან — ზეციის, მიწისა და წყლის სამყაროსთან.

რელიგიურ მხედლეობათა აღნიშნული კომპლექსი საკამოდ სრულად არის ასახული მატერიალური კულტურის ძეგლებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სიროსითური სამეჭდეები, სადაც ეს სიუჟეტი მეტად სანატრესოდ და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი.¹⁵

ერთ-ერთი საბეჭდავის კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია რთული აგებულების ორიგინალური ფიგურა, რომელიც როგორც ჩანს, კალდმერთის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. ფიგურა შეკავალა ფრთებით, რომლებიც ხისა დამუშავებული, რომ ხის ტოტემს მოგვაგონებს (სიცოცხლის სის სიმბოლო). ფიგურის მარჯვნივ ირებია გამოსატული, მარცხნივ — ფრინველი, მის გვერდით

¹⁴ H. Mapp, Ištara, J. C., V, et. 183.

¹⁵ Contenau, La giuptique Syro-Hittite, 1922.

